სსიპ კოლეჯი

„მ ე რ მ ი ს ი“

2023 წლის ანგარიში

კოლეჯის განვითარება

სსიპ--კოლეჯმა ,,მერმისი“ 2023 წელი სასიამოვნო სიახლეებით დაასრულა. ამის დასტურია, ის რომ სსიპ კოლეჯი ,,მერმისი" პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო 2023-ის გამარჯვებული გახდა ნომინაციაში: წლის პროფესიული განათლების პროგრამა - სამკერვალო წარმოება.

კოლეჯის დირექტორს ნონა ღუდუშაურს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გიორგი ამილახვარმა გადასცა სპეციალური პრიზი და სმარტ დაფა.

კოლეჯის ,,მერმისი“ მორიგი წარმატების მაგალითია საერთაშორისო თანამშრომლობის დაწყება, კერძოდ, გერმანიაში, ბად იუბრეკინგენში პაულ კერშენსტაინერის სასტუმრო საქმისა და მომსახურების სფეროს პროფილურ პროფესიულ კოლეჯში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში სამომავლო პარტნიორობისათვის მასპინძელ კოლეჯსა და კოლეჯს „მერმისი“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

ვიზიტის ფარგლებში კოლეჯის წარმომადგენლებს: ნონა ღუდუშაურს, თეა გულუას, თინათინ დოლიძესა და სერგო მამარდაშვილს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ გერმანული კოლეჯის სწავლა-სწავლების პროცესებს.

მიმდინარე წლის 13 ივნისს, სსიპ - კოლეჯში "მერმისი" ყაზახეთის რესპუბლიკის ეკოლოგიური, საინჟინრო და პედაგოგიური მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობით სტუმრად იმყოფებოდნენ ყაზახეთის წამყვანი კოლეჯების დირექტორები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

ვიზიტის ფარგლებში კოლეჯის დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა და ყაზახეთის ხუთი კოლეჯის ხელმძღვანელმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. აღნიშნული კოლეჯებია: ტრანსპორტისა და კომუნიკაციების უმაღლესი კოლეჯი, სერვისისა და ტურიზმის კოლეჯი, თანამედროვე ჰუმანიტარულ-ტექნიკური კოლეჯი, მერკენსკის კოლეჯი, აკმოლინსკის რაიონის ქ. კოკშეტაუს უმაღლესი ტექნიკური კოლეჯი.

ვიზიტის დროს სტუმრები გაეცნენ კოლეჯში განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო და მომზადება/გადამზადების პროგრამებს, დაისახა შემდგომი თანამშრომლობის გზები.

2023 წლის 13 ივლისს სსიპ კოლეჯში "მერმისი" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების პირველი კურსდამთავრებულების დაჯილდოვების ღონისძიება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი ამილახვარმა კოლეჯების ("მერმისი", ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია", "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი", "იკაროსი", "მოდუსი") ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების პირველ

კურსდამთავრებულებს სწავლის დასრულება მიულოცა, წარმატებები უსურვა და პირადად გადასცა დიპლომები.

კურსდამთავრებულებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლმა გიორგი ნანობაშვილმა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ კახაბერ ერაძემ და პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა თამარ ქიტიაშვილმა.

კოლეჯში „მერმისი“ შპს „ინოვაციური ლაბორატორიის“ მიერ დამონტაჟდა მზის ელექტროსადგური, რომლის ფარგლებშიც 2023 წლის 21 ნოემბერს გაიმართა ღონისძიება: „მზის ელექტროსადგურის ინაუგურაციის ცერემონია“.

ღონისძიების ფარგლებში მოწვეულმა სტუმრებმა დაათვალიერეს კოლეჯის სასწავლო

სახელოსნოები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსა და ებერჰარდ შოკის ფონდს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ პაპუკაშვილმა, პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა თამარ ქიტიაშვილმა და ებერჰარდ შოკის ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ მიულერმა.

ასევე, დისკუსიის ფორმატში განიხილეს საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში ევროპული სტანდარტების დანერგვის პერსპექტივები, მზის ენერგეტიკის დარგში.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოში გერმანიის საელჩოს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ენერგეტიკის სფეროში მოქმედი კერძო და საჯარო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა WorldSkills საქართველო 2023 ეროვნულ

კონკურსზე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს ორ პროფესიაში: ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“- პროფესიული სტუდენტი ირაკლი თათარაშვილი, კონდიტერია - პროფესიული სტუდენტი ნინო სხვიტარიძე

- **თანამედროვე შრომის ბაზრის შესაბამისად ახალი პროგრამის დამატება**

სსიპ-კოლეჯის ,,მერმისი“ მიზანია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.

პროფესიული განათლების მაღალი ხარისხი ინდივიდებს მისცემს შესაძლებლობას, გააკეთონ საუკეთესო არჩევანი თავიანთი კომპეტენციებისა და შესაძლებლობების განსავითარებლად, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისი სამუშაო ძალის განვითარებას და პიროვნებას მისცემს საშულებას რეალიზდნენ საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

კოლეჯი ,,მერმისი“ მუდმივად ორიენტირებულია განვითარებაზე და სწავლის მსურველ პირებს სთავაზობს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნად ყოველწლიურად განახლებად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

,,მერმისი“ ზრუნავს დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის მოთხოვნები და გამომდინარე იქიდან, რომ „მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ სპეციალისტის პროფესიონალ კადრებზე მოთხოვნა მზარდია როგორც შრომით ბაზარზე, ასევე მოსახლეობის მხრიდანაც, ვინაიდან მოსახლეობის მოთხოვნა ავტომობილის ყოლაზე თანდათანობით იზრდება, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 23 თებერვლის N 7 23 0000218637 გადაწყვეტილებით, კოლეჯს ,,მერმისს“ მიენიჭა უფლება განახორციელოს კიდევ ერთი პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“.

,,მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროგრამის ავტორიზაციისათვის მზადების პერიოდში განხორციელებულ იქნა შემდეგი აქტივობები:

- ✓ პროგრამის შესაბამისად განახლდა/შეივსო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (აღნიშნული პროგრამის დამატებისა და განხორციელების მიზნით, ჩატარებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით შეძენილი იქნა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო დანადგარები და მოწყობილობები. მათ შორის: მაკრატელა ამწე, თვლების კორექციის შესამოწმებელი აპარატი, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების სტარტერის და დინამოს შესამოწმებელი სტენდი. ამასთან ერთად აღნიშნული პროგრამისათვის შეძენილი იქნა ოსცილოგრაფები, მულტიმეტრები, სარჩილავი მოწყობილობები, მიკროსკოპები სარჩილავი სამუშაოებისთვის, ხელის ინსტრუმენტები, კალის მოსაშორებლები.
- ✓ დამატებით გაფორმებული იქნა კომპანიასთან ახალი მემორანდუმი/ ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ - **შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“,**
- ✓ გაფორმდა წინარე შრომითი ხელშეკრულება, როგორც მოქმედ, ასევე კერძო სექტორიდან მოწვეულ **18 პროფესიული განათლების მასწავლებელთან.**

გამომდინარე იქიდან, რომ კულინარია საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს და მაღალია საზოგადოებრივი ინტერესი არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიოს კულინარიული ხელოვნების მახასიათებლების მიმართაც, გარდა ამისა გაიზარდა სხვადასხვა

საკვები ობიექტის გახსნისა და წარმატებით ფუნქციონირების საჭიროება, აქედან გამომდინარე, კოლეჯმა მიიღო გადაწყვეტილება გაზარდოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,კულინარიის ხელოვნება“ კვოტა.

ასევე „კულინარიის ხელოვნების" მოდულურ პროგრამაში არ არის გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის არჩევითი მოდული, რაც მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა კურსდამთავრებულთა ეფექტური დასაქმების კუთხით, ვინაიდან აღნიშნული სპეციალობა დიდწილად სწორედ პრაქტიკული უნარების გამომუშავებასა და დახვეწას მოითხოვს, კოლეჯმა მიიღო გადაწყვეტილება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს ,,საწარმოო პრაქტიკის“ მოდული.

აღნიშნულის განსახორციელებლად, კოლეჯის მიერ განხორციელებული იქნა შემდეგი აქტივობები:

- ✓ პირველ სართულზე განთავსებულ კულინარიის ხელოვნების სახელოსნოში დამატებით დამონტაჟდა გამწოვი ვინტილაცია (გამწოვი ქოლგა), იმავე სახელოსნოში შეიცვალა ელექტრო ქურების მოძველებული და დაზიანებული ელექტრო კომფორები.
- ✓ პროგრამას დაემატა კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები პრაქტიკული კომპონენტის - საწარმოო პრაქტიკის გავლის შესახებ,
- ✓ გაფორმდა წინარე შრომითი ხელშეკრულება, როგორც მოქმედ, ასევე კერძო სექტორიდან მოწვეულ **23 პროფესიული განათლების მასწავლებელთან.**

ასევე, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კოლეჯის განვითარების კუთხით განხორციელებული იქნა შემდეგი აქტივობები:

- ✓ საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოების, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდული ყაზახეთის ხუთი კოლეჯთან: ტრანსპორტისა და კომუნიკაციების უმაღლესი კოლეჯი, სერვისისა და ტურიზმის კოლეჯი, თანამედროვე ჰუმანიტარულ-ტექნიკური კოლეჯი, მერკენსკის კოლეჯი, აკმოლინსკის რაიონის ქ. კოკშეტაუს უმაღლესი ტექნიკური კოლეჯი.
- ✓ საერთაშორისო თანამშრომლობა დაიწყო ასევე გერმანიაში, ბად იუბრეკინგენში პაულ კერშენსტაინერის სასტუმრო საქმისა და მომსახურების სფეროს პროფილურ პროფესიულ კოლეჯში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში სამომავლო პარტნიორობისათვის მასპინძელ კოლეჯსა და კოლეჯს „მერმისი“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.
- ✓ კოლეჯის ნორმატიულ დოკუმენტში - შინაგანაწესში, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესში შეტანილ იქნა ცვლილებები; შემუშავებული და დამტკიცებული იქნა პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა და არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი.
- ✓ გაკეთებულ იქნა განაცხადი არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების მიზნით .
- ✓ დამატებულ იქნა სტუდენტური სერვისების მენეჯერის, ბუღალტრისა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის საშტატო ერთეული, ასევე მთავარი ბუღალტერი შეიცვალა

ფინანსური მენეჯერის თანამდებობით, ხოლო HR მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი შეიცვალა ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერის თანამდებობით;

- ✓ გაიზარდა როგორც კოლეჯის დირექციის, ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ასევე პროფესიულ განათლების მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურება;
- ✓ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა გამოკითხვები და მეცადინეობეზე დასწრება, საჭიროების შემთხვევაში გაიცა რეკომენდაციები;
- ✓ განახლებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;

<u>პროფესიული განათლების რეფორმების კვალდაკვალ პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების დამატება</u>

პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების დანერგვამ არსებითად გაზარდა ახალგაზრდების ჩართულობა პროფესიულ განათლებაში, გამომდინარე იქიდან, რომ მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების სისტემამ შესთავაზოს საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისი სერვისები ზრდასრულ მოსახლეობასაც.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მიწოდება ზრდასრული მოსახლეობისათვის წარმოადგენს ქმედით ინსტრუმენტს მოსახლეობის უნარების განახლებისა და შრომის ბაზარზე წარმატებული ინტეგრაციისათვის.

კოლეჯის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი აქტივობა ითვალისწინებს სხვადასხვა სფეროს პროფესიული მომზადების პროგრამების შემუშავებას და დამატებას. 2023 წელსაც კოლეჯის ,,მერმისი“ მიერ კვლავ გაგრძელდა ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარების პროცესი, რაც გულისხმობს მრავალფეროვანი პროგრამების დანერგვას, დაფინანსების უზრუნველყოფას, სერვისების პოპულარიზაციასა და ახალი მოქნილი პროცედურების შექმნას.

საანგარიშო პერიოდში კოლეჯმა ასევე მოიპოვა განხორციელების უფლება ახალი პროფესიული მომზადების პროგრამების: „ტიხრული მინანქრის დამზადების ტექნოლოგია“ და ,,სასტუმროს მიღება-განთავსების განყოფილების მომსახურება“.

კონტიგენტის მოძრაობა

2023 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის მიზნით, კოლეჯმა ,,მერმისი“ კოლეჯმა მიღება გამოაცხადა 19 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - 485 ვაკანტურ ადგილზე, ასევე 58 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის, მათ შორის ორ პროგრამაზე (ვებტექნოლოგიები და სასტუმრო მომსახურება), რომელშიც ინტეგირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

კოლეჯმა გაითვალისწინა სწავლის მსურველ პირთა ინტერესები და მისაღები ადგილების რაოდენობა გაზარდა 567 აპლიკანტით, ასევე 62 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის.

2023 წლის მიღებაზე ჩარიცხულ იქნა 532 სტუდეტი, მათ შორის 30 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი.

N	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა		მიღებული სტუდენტები	
		სტ. რ-ბა	სსსმ სტ-რ-ბა	სტ. რ-ბა	სსსმ სტ-რ-ბა
1	კულინარიის ხელოვნება	63	6	64	6
2	კონდიტერია	17	2	17	2
3	თმის მომსახურება	40	4	39	3
4	მხატვრული ქსოვა	20	2	7	1
5	თექის დამზადება	20	2	8	2
6	ელექტროობა	40	4	40	0
7	იატაკის და ფილის სამუშაოები	20	3	16	3
8	სამკერვალო წარმოება	60	9	57	2
9	მომინანქრება	26	3	18	0
10	ხის მხატვრული დამუშავება	15	1	14	1
11	ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობების წარმოება	22	3	9	3
12	მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება	20	2	20	0
13	სავალი ნაწილის შეკეთება	20	2	17	0
14	საოფისე საქმე	40	4	36	3
15	ძრავას შეკეთება	20	2	19	0
16	სასტუმრო მომსახურება	27	3	27	0
17	ვებტექნოლოგიები	25	3	25	1
18	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი	40	4	39	3
19	ბუღალტრული აღრიცხვა	32	3	30	0
	სულ ჯამი	**567**	**62**	**502**	**30**

2023 წელს ჩარიცხულმა სტუდენტებმა სწავლა დაიწყეს 15 ნოემბერს. კოლეჯის დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა სტუდენტებს მიულოცა სწავლის დაწყება და წარმატებული სტუდენტობა უსურვა.

ახალჩარიცხულ სტუდენტებს ასევე წარმატება უსურვეს კოლეჯის პარტნიორი კომპანიების ნეოტექისა და სერვის აკადემიის წარმომადგენლებმა, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“ პროფესიულმა სტუდენტმა მარიამ ასიტაშვილმა გაუზიარა კოლეჯში სწავლის გამოცდილება.

2023 წელსაც გაგრძელდა აქტიური თანამშრომლობა სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან ზრდასრული მოსახლეობისათვის მომზადების პროგრამების შეთავაზების გზით. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ორგანიზაციის მხარდაჭერით დაფინანსდა პროფესიული მომზადების პროგრამები: ,,ელექტრული მონტაჟი“, ,,ძრავის კვების სისტემის დიაგნოსტირება და სერვისი“, ,,თმის შეჭრისა და ღებვის ხელოვნება“ და ,,კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით“.

პროფესიული უნარების სააგენტოსთან ურთიერთანამშრომლობის საფუძველზე, განხორციელდა პროფესიული მომზადების პროგრამა ,,ელექტრული მონტაჟი“ (2 ნაკადი), ,,ძრავის კვების სისტემის დიაგნოსტირება და სერვისი“.

სსიპ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრთან თანამშრომლობით, პროფესიული უნარების სააგენტოსგან მოპოვებული სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, N5 ქალთა სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში დაიგეგმა და მიმდინარეობს სწავლება, პროფესიული მომზადების ორ პროგრამაზე, „თმის შეჭრისა და ღებვის ხელოვნება“ და „ქართული ფარდაგისა და ხალიჩის ქსოვა“ – 10-10 მსმენელი.

სამკერვალო საწარმოსთან შპს „ჯეო-ემ-ტექს“ თანამშრომლობით და პროფესიული უნარების სააგენტოსგან მოპოვებული სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, კომპანიის 15 თანამშრომლისათვის დაიგეგმა და მიმდინარეობს სწავლება პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ქალის სათავიანი ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება“.

2023 წლის სტატისტიკა პროფესიული მომზადების პროგრამების მიხედვით

N	პროგრამის დასახელება	მიღების ტიპი	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	რეგისტრირებული აპლიკანტები	ჩარიცხული მსმენელები	კურსდამთავრებულთა რ-ბა	ამჟამად სწავლობს
1.	ელექტრული მონტაჟი	დახურული	15	13	13	12	
2.	ელექტრული მონტაჟი	ღია	15	30	13	12	
3.	თმის შეჭრისა და ღებვის ხელოვნება	დახურული	10	15	9	9	
4.	კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით	დახურული	10	10	9	9	
5.	ძრავის კვების სისტემის დიაგნოსტირება და სერვისი	დახურული	10	9	8	8	
6.	ძრავის კვების სისტემის დიაგნოსტირება და სერვისი	ღია	15	21	9	9	
7.	ელექტრული მონტაჟი	ღია	10	29	12	12	
8.	თმის შეჭრისა და ღებვის ხელოვნება	დახურული	10	10	10		10
9.	ქართული ფარდაგისა და ხალიჩის ქსოვა	დახურული	10	10	10		10
10.	ქალის სათავიანი ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება	დახურული	15	15	15		15
	სულ ჯამი:		110	152	108	71	35

განხორციელებული პროექტები

2023 წელსაც აქტიურად გაგრძელდა თანამშრომლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მხარდაჭერით დაფინანსებული პროექტის ,,პროფესიული განათლება - დასაქმებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა“ განხორციელების მიზანს წარმოადგენს თბილისში უმუშევრობის დონის შემცირება, პროფესიული სწავლებით სამუშაოს მაძიებელთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობა. ასევე, საწარმოების მოთხოვნილებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში 2023 წლის განმავლობაში ორ ეტაპად განხორციელდა პროგრამები.

პირველ ეტაპზე 10 მოკლევადიან სასერტიფიკატო პროგრამაზე სწავლობდა **207 მსმენელი, სწავლა დაასრულა 186 მსმენელმა, სერტიფიკატი მიიღო 186 მსმენელმა.** მეორე ეტაპზე 7 მოკლევადიან პროგრამაზე სწავლობდა **100 მსმენელი, სწავლა დაასრულა 100 მსმენელმა, სერტიფიკატი მიიღო 95 მსმენელმა.**

2023 წლის სტატისტიკა მოკლევადიანი პროგრამების მიხედვით პროექტის „პროფესიული განათლება - დასაქმებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა“ ფარგლებში

N	მოკლევადიანი პროგრამის დასახელება	2023 წლის I და II კვარტალი					2023 წლის II და III კვარტალი				
		მისაღები რაოდენობა	რეგისტრირებულთა რაოდენობა	ჩარიცხული მსმენელები	დაამთავრა	სერტ. მიიღო	მისაღები რაოდენობა	რეგისტრირებულთა რაოდენობა	ჩარიცხული მსმენელები	დაამთავრა	სერტ. მიიღო
1	ელექტრიკოსი	30	47	19	19	18	10	30	10	10	10
2	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	45	40	28	28	27	20	44	20	20	19
3	მსუბუქი ავტომობილის ელექტრონული კვანძების დიაგნოსტირება	24	21	13	13	10					
4	ფილამწყობი	10	12	9	9	8					
5	ტიხრული მინანქარი	24	52	24	24	23					
6	ტყავის აქსესუარების კერვა	24	67	32	32	30	20	36	20	20	20
7	კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების საშუალებით რიცხვით პროგრამული დანადგარების მართვა (CNC და ლაზერული მჭრელი)	20	27	13	13	10	10	25	10	10	7
8	მზარეული (ქართული და ევროპული სამზარეულო)	45	114	39	39	35	20	82	20	20	20
9	პურ-ფუნთუშეულის დამზადება	12	19	10	10	8	10	36	10	10	10
10	ტორტების დამზადება და მორთვა მარციპანით	20	44	20	20	17	10	55	10	10	9
სულ		254	443	207	207	186	10	324	100	100	95

2023 წელს კვლავ აქტიურად გაგრძელდა თანამშრომლობა საჯარო სკოლებთან. ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების „კვლევის, სტუდენტური სერვისებისა და ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, რეგიონების საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში, 5 საჯარო სკოლაში, განხორციელდა 3 პროფესიული განვითარების უნარების საორიენტაციო კურსი 5 ჯგუფში და 50 სკოლის მოსწავლე დაეუფლა პროფესიას.

პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსის განხორციელების მიზანს წარმოადგენს მოსწავლემ აღმოაჩინოს საკუთარი უნარები და შესაძლებლობები, ასევე სხვადასხვა სფეროს ინტერესები, რომელსაც მომავალში დანიშნულებისამებრ გამოიყენებს.

მოსწავლემ უნდა დაინახოს, რომ მოკლე პერიოდში შეიძლება დაეუფლოს პროფესიას, შეძლოს დასაქმება (თვითდასაქმება) და ჩამოყალიბდეს თავისუფალ მოქალაქედ დემოკრატიული საბაზრო ეკონომიკის საქართველოში. ასევე მათი მოტივირება პროფესიული განათლების მისაღებად.

2023 წლის სტატისტიკა თბილისის საჯარო სკოლებში პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსების შესახებ

N	პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსი	სკოლა	ჩარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობა	დაასრულა	სერტიფიკატი მიიღო
1	მომინანქრებაში	სსიპ ქალაქ ჭიათურის N1 საჯარო სკოლა	10	10	10
2	სურსათის უვნებლობაში	სსიპ სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ არშის საჯარო სკოლა	10	10	10

3	ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოებაში	სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რატევანის საჯარო სკოლა	10	10	10
4	მომინანქრებაში	სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლა	10	10	10
5	მომინანქრებაში	სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N2 საჯარო სკოლა	10	10	10
	სულ ჯამი		50	50	50

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კოლეჯში კონტიგენტის მოძრაობა

N	დასახელება	სწავლობდა	სტატუსი შეუწყდა	სტატუსი შეიჩერა	სწავლა დაასრულა	ამჟამად სწავლობს
1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	1115	112	84	195	724
2	პროფ. მომზადების პროგრამა	108	2		71	35
3	მერიის პროექტი ,,ისწავლე და დასაქმდი“	307			207	
4	სკოლის პროექტი	50			50	
	ჯამი	**1580**	**114**	**84**	**523**	**759**

2023 წლის განმავლობაში სტუდენტთა/მსმენელთა სახელობითი რაოდენობა

დასახელება	სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობა
პროფ. საგანმ. პროგრამები	1115
მერიის პროექტი ,,ისწავლე და დასაქმდი“	307
პროფესიული მომზადების პროგრამები	108
სკოლის პროექტი	50
სულ ჯამი	**1580**

პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებები

2023 წელს კოლეჯმა „მერმისი“ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ადამიანური რესურსის განვითარების კუთხით საიტზე – ვაკანსიები საჯარო სამსახურში (HR.gov.ge) გამოაცხადა:

1. **პროფესიული განათლების მასწავლებელი** - 20 ვაკანსია - სხვადასხვა მოდულზე;

2. **ადმინისტრაციული საშტატო ერთეული** – 17 ვაკანსია (ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი, იურისტი, სტუდენტური სერვისების მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, შესყიდვების მენეჯერი, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის მენეჯერი, ქსელის ადმინისტრატორი).

სსიპ კოლეჯი ,,მერმისი“ მუდმივად ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე, გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანური რესურსების მართვა ორგანიზაციის განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია.

კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ხორციელდება სხვადასხვა განმავითარებელი ღონისძიებების მეშვეობით. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს მასწავლებელთა განვითარების აქტივობებში ჩართვით, რაც ხელს უწყობს მათ კარიერულ ზრდას.

კონკურსის შედეგად ადამიანური რესურსის სახით დაწესებულებას დაემატა 8 პროფესიული მასწავლებელი და 14 ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯში საგრძნობლად გაიზარდა სამუშაოს მოცულობა, ამავე დროს ავტორიზაციის ერთ-ერთი სტანდარტი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტებისა და მათ მხარდაჭერის ღონისძიებებს, რამაც გამოიწვია საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, კერძოდ, დაემატა ბუღალტრის, სტუდენტური სერვისების მენეჯერისა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის თანამდებობები.

ასევე საშტატო განრიგში განხორციელდა ცვლილები, კერძოდ მთავარი ბუღალტერი შეიცვალა ფინანსური მენეჯერის თანამდებობით; HR მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი შეიცვალა ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერის თანამდებობით.

კოლეჯში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო **101 პროფესიული განათლების მასწავლებლი.**

კოლეჯის ადმინისტრაციამ და პროფესიულმა მასწავლებლებმა 2023 წელს გაიარეს შემდეგი ტრენინგები:

N	ტრენინგის დასახელება-თემატიკა	თარიღი, ადგილი	ორგანიზატორი	მონაწილეები
1	ტრაზიციიას სკოლიდან პროფესიულ სასწავლებელში	17,18,19 იანვარი	ორგანიზაცია ,,ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოების თვის''	ნ. გურასპაშვილი გ. ქალიაშვილი გ. ბერიაშვილი
2	კარიერის მართვისა და კარიერული განათლების საკითხები	30, 31,01 თებერვალი სასტუმრო ibis budget Tbilisi Center	ევროკავშირის პროგრამა	ლ. ბეშკენაძე
3	„კერძო სექტორების ხელმძღვანელობით უნარების განვითარების მოკლევადიანი სასწავლო პროგრამების დანერგვა“.	კოლეჯი „მერმისი“ ონლაინ 14.02.2023	განათლების სამინისტრო	თ. ლაგვილავა
4	ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია	კოლეჯი „მერმისი“ ონლაინ 1 მარტი	ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	ნ. ღუდუშაური
5	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტი	კოლეჯი „მერმისი“ ონლაინ 7 მარტი	ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	ნ. ღუდუშაური ნ. ნამგალაძე
6	საგრანტო წინადადების შემუშავების და ფონდების მოძიებ	იკარუსი 22 მარტი	პროფესიული უნარების სააგენტო	მ. მჭედლიშვილი კ. კოჭლაშვილი
7	მომზადების და გადამზადების პროგრამების რეგისტრაციის შესახებ	კოლეჯი „მერმისი“ ონლაინ 11-12.04.2023	ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	თ. ლაგვილავა
8	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების არსებული მდგომარეობის შეფასები	31 მარტი ხარისხის ცენტრი	ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	ნ. ნამგალაძე მ. ზერეკიძე

	სა და ანალიზის შედეგად გა მოვლენილი რეკომენდაციებ ის განხილვა			
9	პეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საორიენტაციო სერვისის შემუშავება	კოლეჯი „მერმისი“ ონლაინ 12 აპრილი	პროფესიული უნარების სააგენტო	ნ. ღუდუშაური ნ. გურასპაშვილი
10	<u>საარჩევნო სიახლეების გაცნობა</u>	19, 21 აპრილი ონლაინ, ცეესკო	CISI პროექტი	ვ. ქარსელაძე დ. თედორაძე მ. დგებუაძე
11	სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროექტი	კოლეჯი „მერმისი“ ონლაინ 20 აპრილი	CISI პროექტი	ნ. ღუდუშაური
12	შრომის ბაზრის კვლევისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზანშეწონილობის დასაბუთება	კოლეჯი „მერმისი“ ონლაინ 25 აპრილი	ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	ნ. ღუდუშაური ნ. ნამგალაძე
13	დარგის ექსპერტთა სამუშაო შეხვედრა	19 მაისი იკარუსი	ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	თ. ლაგვილავა
14	აკომოდაციები სასწავლო პროცესის მისაწვდომობისთვის	25 მაისი	პროფესიული უნარების სააგენტო	ნ. გურასპაშვილი
15	"ციფრული და შერეული სწავლების კონცეფცია და მექანიზმები პროფესიულ განათლებაში" დოკუმენტის პრეზენტაცია და საჯარო განხილვა	კოლეჯი „მერმისი“ ონლაინ 25 მაისი	პროფესიული უნარების სააგენტო	ნ. ღუდუშაური ნ. ნამგალაძე
16	ქცევითი აშლილობები: - პრევენცია და გავლენა განათლებაზე - Dr. კატერინა შჩერბაკოვა, Dr. ქრისტინა კრაჰულკოვა, ოლომოუცის უნივერსიტეტი, ჩეხეთი.	კოლეჯი „მერმისი“ პირისპირ 02.06.2023	CISI პროექტი	ნ. ღუდუშაური, ნ. ნამგალაძე, თ. ლაგვილავა, ნ. გურასპაშვილი, გ. ბერიაშვილი, ე. გაბრავა, ზ. გრიგოლაშვილი, გ.ქალიაშვილი,

				თ. ბერძენიშვილი, ე. მჭედლიშვილი, ი. ზირაქიშვილი, კ. კოჭლაშვილი, გ. ახალკაცი, თ. ფერაძე, მ.ზერეკიძე, მ.მჭედლიშვილი
17	პროექტის „ახალგაზრდების თვითგამორკვევის, კეთილდღეობისა და დასაქმების ხელშეწყობა“ შესახებ	13.06.2023 პროფესიული უნარების სააგენტო	ეს-ო-ეს ბავშთა სოფელი	ნ. გურასპაშვილი
18	პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების უფლების მოპოვების გზით განხორციელება	კოლეჯი „მერმისი“ ონლაინ 19.06.2023	ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	თ. ლაგვილავა
19	„სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მასშტაბის გაფართოება და კერძო სექტორთან თანამშრომლობა.“	კოლეჯი „მერმისი“ 21 ივნისი	პროფესიული უნარების სააგენტო	ნ. ღუდუშაური მ. დანელია ნ. ნამგალაძე
20	პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება	25 ივნისი, სასტუმრო Pullman Hotels and Resorts, Tbilisi Axis Towers	საქართველოს ტურიზმის ასოციაცია	გ. ლობჟანიძე ს. მამარდაშვილი მ. ბოლაშვილი ხ. ნადარეიშვილი მ. წერეთელი
21	„პირის მიერ სასწავლო საწარმოს სტატუსის მოპოვების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ"	26 ივნისი GIZ ოფისი	GIZ პროფესიული უნარების სააგენტო	ნ. ღუდუშური
22	ტრენერთა ტრენინგი ზრდასრულთა განათლების კოორდინატორთათვის	კოლეჯი „მერმისი“ ონლაინ 29-30.06.2023	პროფესიული უნარების სააგენტო	თ. ლაგვილავა
23	სამინისტროს სისტემის თანამშრომლების ტრენინგი სააღრიცხვო პოლიტიკის თეორიული ასპექტებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე	კოლეჯი „მერმისი“ ონლაინ 19-21-23-26 ივნისი	ფინანსთა სამინისტრო	ც. ცერცვაძე დ. გულაზიანი ც. ცხადაია
24	ინკლუზიური განათლება საქართველოში - მიღწევები,	29 ივნისი თსუ	თსუ	ნ.გურასპაშვილი

	გამოწვევები და პერსპექტივები,			
25	ტრენერთა ტრენინგი ზრდასრულთა განათლების კოორდინატორთათვის“	29,30 ივნისი ონლაინ	პროფესიული უნარების სააგენტო	თ. ლაგვილავა
26	სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება	30,1,2 ივლისი კოლეჯი „მერმისი“	პროფესიული უნარების სააგენტო	გ. ახალკაცი, ხ. მგელაძე, თ. ლაღიაშვილი, ე. შავდია, მ. კუპატაძე, ნ. ხოხობაშვილი, ქ. მდინარაძე, გ. გოგიჩაიშვილი, მ. ალადაშვილი, მ. მჭედლიშვილი, ვ. ქარსელაძე, ბ.ქურციკიძე, ი. ზირაქიშვილი, ქ. ფანჩვიძე, თ. ჩხენკელი
27	პროფესიული განათლების მიღწევებზე დაფუძნებული დაფინანსება	კოლეჯი „მერმისი“ ონლაინ 5 ივლისი	პროფესიული უნარების სააგენტო	ნ. ნამგალაძე დ. უგულავა
28	ადგილობრივი შრომის ბაზრის მოკვლევა-კოორდინატორების განსაზღვრა	კოლეჯი „მერმისი“ ონლაინ 7 ივლისი	პროფესიული უნარების სააგენტო	ლ. ბეშკენაძე
29	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის პროცედურები	კოლეჯი „მერმისი“ ონლაინ 14 ივლისი	პროფესიული უნარების სააგენტო	ნ. გურასპაშვილი
30	ევროკავშრის პროექტის "ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული უნარების განვითარებისთვის"	25-26-27 ივლისი სასტუმრო ფაბრიკა	პროფესიული უნარების სააგენტო	ვ. ჯღამაძე დ. თედორაძე ე. მჭედლიშვილი

31	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის პროცედურები	27-28 ივლისი რუმსი	GIZ	ნ. ღუდუშაური თ. ბერძენიშვილი ს. მამარდაშვილი გ. ლობჟანიძე
32	სსსმ/შშმ პირთა მხარდამჭერი სერვისების ორგანიზება.	10 აგვისტო	პროფესიული უნარების სააგენტო	ნ. გურასპაშვილი
33	2024 წლის სამოქმედო გეგმის პ როექტის პროფესიული განათ ლების მიმართულების გარე და ინტერესებულ მხარეებთან განხ ილვა	24 ნოემბერი ონლაინ	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	თ. ლაგვილავა
34	საგრანტო წინადადების შემუშავების ტრეინინგი_ მე-2 ეტაპი	29, 30 ნოემბერი	პროფესიული უნარების სააგენტო	თ. ბერძენიშვილი, მ. მჭედლიშვილი, კ. კოჭლაშვილი
35	მავნებლის პრევენციისა და კონტროლის (დერატიზაცია-დეზინსექცია-დეზინფექცია) ინტეგრირებული სისტემა (Integrated Pest Management) და მისი როლი სურსათის უვნებლობის, ჰიგიენა-სანიტარიის, შრომის უსაფრთხოებისა და ხარისხსის მართვაში.	30 ნოემბერი **ჰილტონ გარდენ ინნ**	კომპანია ორკინი	ე. ნადარეიშვილი მ. ჩანკაშვილი
36	ერასმუს+ პროექტების ხარისხის განვითარებისა და განაცხადის შექმნა	18-19 დეკემბერი	პროფესიული უნარების სააგენტო	ნ. ღუდუშაური
37	ერთობლივი და გაცვლითი პ როგრამების შემუშავებისა დ ა განხორციელების წესისა და პირობების გაცნობის შესახებ	21 დეკემბერი ონლაინ	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	თ. ლაგვილავა

სტუდენტური სერვისები

სსიპ - კოლეჯი „მერმისი“ მუმდივად იცავს პროფესიულ სტუდენტთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ზრუნავს მათი საჭიროებების გამოვლენაზე, სტუდენტური პროექტების განხორციელებაზე და მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობაზე, უქმნის მათ უსაფრთხო სასწავლო გარემოს, უზრუნველყოფს მათ სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს და სხვადასხვა სახის მხარდაჭერის სერვისებს ხარისხიანი განათლების მისაღებად.

საანგარიშო პერიოდში პროფესიულ მასწავლებელთა და სტუდენტთა კვალიფიკაციისა და სწავლების ხარისხის ამაღლების, ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით იმყოფებოდნენ SES ექსპერტები:

- ✓ SES ექსპერტმა ანნა ამალია სობოტამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,თმის მომსახურება“ და პროფესიული მომზადების პროგრამის ,,თმის შეჭრისა და ღებვის ხელოვნება“ პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს ორი კვირის განმავლობაში გაუზიარა ევროპული გამოცდილება, რომლებმაც წარმოადგინეს ინდივიდუალური ვარცხნილობები

- ✓ SES ექსპერტი სენიორ თომას ეუგენ გეორკე, რომელმაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სარესტორნო მომსახურება“ და „სასტუმრო მომსახურება“ განხორციელებაში ჩართულ პედაგოგებსა და პროფესიულ სტუდენტებს გააცნო ევროპული სწავლების მეთოდები, როგორიცაა: მომსახურება (service and serving), მომსახურება სტანდარტების მიხედვით საუზმეზე, ლანჩზე, ვახშამზე, მენიუს შედგენა, ოთახის მომსახურება და სხვა.

არაფორმალური განათლების განვითარების მიზნით, პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერით, კოლეჯმა ,,საქართველოს დეკორატიული მცენარეების და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაციასთან“ ერთად დაასრულა საპილოტე პროექტის „მომავალ მეწარმეთა კლუბის შექმნა“ განხორციელება.

პროექტი მიზნად ისახავდა სტუდენტური სივრცეების შექმნას სტუდენტური ცხოვრებისა და სტუდენტური კლუბების განვითარების ხელშესაწყობად.

პროექტის მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში მეწარმეობისა და სხვა საკვანძო კომპეტენციების განვითარებას, ერთიანდებოდა საერთო მიზნის, ახალგაზრდული სივრცის - კოლეჯის სკვერის კეთილმოწყობის გარშემო და ითვალისწინებდა სხვადასხვა პროფესიისა და ინტერესების მქონე ახალგაზრდების გაერთიანებას ერთი საერთო მიზნის მისაღწევად.

კოლეჯის სკვერის როგორც მშენებლობისა და კეთილმოწყობის, ისე მისი ფუნქციონირების პროცესში განსხვავებული კონტრიბუცია შეჰქონდათ კოლეჯის სხვადასხვა პროგრამის, მათ შორის, დეკორატიული მებაღეობის, სამშენებლო მიმართულებების, ელექტროობის და სხვა პროგრამების სტუდენტებს.

პროექტის მიმდინარეობისას განხორციელებული ტრენინგები კი სტუდენტებს ეხმარებოდა კოლეჯში მიღებული ცოდნა და უნარები კოლეჯისთვის და სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი საკითხისადმი მიემართათ.

იქიდან გამომდინარე, რომ „მერმისის საზოგადოებრივი სკვერი“ განკუთვნილია არამარტო სტუდენტებისთვის, არამედ კოლეჯის გარშემო არსებული თემისთვის, პროექტში ჩართულები იყვნენ თემში მცხოვრები ახალგაზრდები, რომლებიც პროექტის მსვლელობისას პარალელურად იღებდნენ ინფორმაციას კოლეჯის და ზოგადად, პროფესიული განათლების შესაძლებლობების შესახებ.

კვლავ აქტიურად გაგრძელდა პროფესიულ სტუდენტთა შეხვედრები „ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების „ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარების ხელშეწყობის" კომპონენტის ფარგლებში, ა(ა)იპ „საქართველოს დეკორატიული მცენარეების და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაციასთან“

პარტნიორობით განხორციელებული პროექტის „მომავალ მეწარმეთა კლუბის შექმნა“ ფარგლებში.

გარდა პროფესიული უნარების ჩამოყალიბებისა კოლეჯის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტებს განუვითაროს სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები-კონსტრუქციული თანამშრომლობა, ტოლერანტობა, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია არამარტო პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების მიღწევით, არამედ სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნებით, სტუდენტთა ჩართულობით სხვადასხვა ღონისძიებებში, მათ შორის სტუდენტთა/მსმენელთა სპორტული აქტივობების განხორციელებით, თუმცა ამ უკანასკნელის საშუალება სტუდენტებს არ აქვთ, რადგან კოლეჯს არ გაჩნდა სპორტული მოედანი და დარბაზი, არც შესაბამისი სპორტული ინვენტარი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კვლავ აქტიურად გაგრძელდა სტუდენტური სერვისების მხარდაჭერა.

პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერით, კოლეჯმა შპს „სერვის გრუფ ინტერნეიშენალი„ სავაჭრო ნიშნით „ვორტექს ფიტნესი“ /ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება) ერთად განახორციელა პროექტი ,,ცხოვრება ჯანსაღი წესით“.

პროექტის მიზანს წარმოადგენდა სპორტული აქტივობებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და სტუდენტების სპორტული შესაძლებლობების რეალიზაციის ხელშეწყობა.

პროექტის მიზნის განხორციელებისათვის შეიქმნა კლუბი “ცხოვრება ჯანსაღი წესით“, ასევე მოეწყო მცირე სავარჯიშო დარბაზი, რომელიც ხელს შეუწყობს მოზარდი სტუდენტების/მსმენელების ფიზიკურ ჩამოყალიბებას, ხოლო ზრდასრული სტუდენტების/მსმენელებისსტუდენტების/მსმენელების ჯანსაღი წესით ცხოვრებას, რაც

ადამიანის ჯანმრთელობის, დღეგრძელობის, სოციალურ ფუნქციათა სრულფასოვანი განხორციელების შესაძლებლობების საწინდარია.



კლუბის წევრებმა გამოცდილი და კვალიფიციური ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით გაიარეს ტრენინგ-კურსი და მიიღეს ცოდნა ფიტნესთან, ცხოვრების ჯანსაღი წესის სხვა სიკეთეებთან და სწორ კვებასთან დაკავშირებით. ხოლო მიღებულ ცოდნას გაუზიარებენ კოლეჯის სტუდენტებს, პროფესიული განათლების მიღების მსურველ ბენეფიციარებს, თემის სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებს და ასევე უზრუნველყოფენ მათ გაწევრიანებას სავარჯიშო დარბაზში მოქმედ ჯგუფებში. კლუბის წევრებმა ასევე მოაწყეს სპორტულ შეჯიბრებები თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწყობილ გარე სპორტულ მოედნებზე. ყველა აღნიშნული აქტივობა ემსახურება პროფესიული განათლების პოპულარიზაციას და მისი იმიჯის ამაღლებას.



სიპ კოლეჯმა "მერმისი' გაიმარჯვა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს საგრანტო კონკურსში ,,ციფრული საგანმანათლებლო რესურსების განვითარების ხელშეწყობა პროფესიულ განათლებაში“ ორი პროექტით: "ციფრული footprints" და "ტურიზმი და სტუმარმასპინძლობა".

კონკურსის მიზანს წარმოადგენს პროფესიულ განათლებაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესება მრავალფეროვანი ციფრული სასწავლო რესურსების შექმნის გზით და პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანამშრომლობის გაძლიერება.

2023 წლის 9 თებერვალს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, „სარესტორნო მომსახურების“ N22-2022 ჯგუფში, პედაგოგმა, ფილოლოგიის დოქტორმა - ხათუნა მაჭავარიანმა მოდულის „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“ საპროგრამო მასალის ფარგლებში გამართა ქართული მხატვრული ფილმის „ჩიორა“ ჩვენება. ფილმის დასრულების შემდგომ სტუდენტებს შორის გაიმართა დისკუსია.

სსიპ კოლეჯი ,,მერმისი“ ყოველწლიურად უერთდება ჭრელი წინდების კამპანიას.

21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სსიპ კოლეჯის ,,მერმისი“ სტუდენტები იმყოფებოდნენ სოციალურ საწარმოში ,,ბაბალე“, რომელიც შეიქმნა "საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის" მიერ.

კოლეჯის სტუდენტები შეუერთდნენ დაუნის სინდრომის მქონე პირების სამუშაო პროცესს და მათთან ერთად ჩაერთვნენ სხვადასხვა აქტივობებში.

2 აპრილს აღინიშნება აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღე. ამ დღესთან დაკავშირებით, კოლეჯი „მერმისი“ ჩაერთო მსოფლიო კამპანიაში.

კოლეჯში მოწვეული იყო საქართველოს აუტიზმის კვლევისა და ხელშეწყობის ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ქ-ნი სოფიო კერესელიძე, რომელმაც პროფესიულ სტუდენტებს წარუდგინა პრეზენტაცია თემაზე „აუტიზმის ადრეული იდენტიფიკაციის მნიშვნელობა“.



კოლეჯის „მერმისი“ „სარესტორნო მომსახურება“ პროფესიულმა სტუდენტებმა, რომლებიც გაწევრიანებული არიან მოდულის "მეცნიერება და ტექნოლოგიები (ქიმიის კომპონენტი)"

მასწავლებელის მიერ დაარსებულ ინტერდისციპლინარულ კლუბში, მოიპოვეს გამარჯვება თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში "ოქროს რიცხვი-2023".

მოპოვებული გამარჯვების ფარგლებში კლუბის წევრებს მიეცათ საშუალება კონფერენციაზე ფართო საზოგადოებას წარუდგენონ პოსტერული მოხსენება თემაზე "C ვიტამინის აღმოჩენა ქართული ჯიშის ხილში". სტუდენტები პედაგოგთან ერთად კოლეჯის ლაბორატორიაში აქტიურად მუშობენ აღნიშნულ საკითთან დაკავშირებით.

მიმდინარე წლის 20 ივნისს სსიპ კოლეჯში „მერმისი“ იმყოფებოდნენ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა “განათლების ადმინისტრირება” სტუდენტები განათლების მეცნიერებათა დოქტორ, ასოცირებულ პროფესორ თამარ კაკუტიას ხელმძღვანელობით კურსის “განათლების დაფინასება და ბიუჯეტირება” ფარგლებში. კოლეჯის დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა მიაწოდა სტუდენტებს ინფორმაცია ზოგადად პროფესიული განათლების შესახებ. სტუდენტებმა დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გაეცნენ სასწავლო პროცესს

სსიპ კოლეჯში „მერმისი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიულ სტუდენტებს შორის ჩატარდა შიდა კონკურსი, სადაც მონაწილეობა მიიღო აღნიშნული პროგრამის ოცმა სტუდენტმა. კონკურსის ფარგლებში სტუდენტების მიერ დამზადებული კერძები შეაფასა ჟიურიმ, რომელსაც ხელმძღვანელობდა World skills Georgia ექსპერტი, მრავალი კონკურსის ჟიურის წევრი და დარგის სპეციალისტი გოგი ბაზანდარაშვილი.

2023 წლის 18 მაისს სსიპ კოლეჯში „მერმისი“ ცნობილი ქართველი მსახიობის, საქართველოს სახალხო და დამსახურებული არტისტის, ლეო ანთაძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა. ღონისძიებას კოლეჯის დირექტორი ნონა ღუდუშაური, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პედაგოგები და პროფესიული სტუდენტები ესწრებოდნენ. საღამოს

საქართველოს ეროვნული ფილარმონიის გენერალური დირექტორი ლადო ხელაშვილი უძღვებოდა.

მსახიობმა მის მიერ განსახიერებული პერსონაჟები გააცოცხლა და მონოსპექტაკლი წარმოადგინა.

სსიპ კოლეჯის „მერმისი" პროფესიულმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ილია წინამძღვრიშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ ორგანიზებულ მაგიდის ჩოგბურთის ღია ტურნირში.

ტურნირში მონაწილეობდა 13 პროფესიული კოლეჯის 44 სტუდენტი.

აღნიშნული ღონისძიება კოლეჯებს შორის კავშირის გაძლიერების ხელისშემწყობი ფაქტორია. ასევე ხელს შეუწყობს სტუდენტური სერვისებიდ განვითარებას

სსიპ კოლეჯის „მერმისი“ პროფესიულმა მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები (ქიმია)” მასწავლებლის ია ზირაქიშვილის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ მე-10 საიუბილეო სამეცნიერო პიკნიკში, რომლის მიზანი იყო მეცნიერების პოპულარიზაცია და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევათა სახალისო ფორმით წარმოჩენა ნებისმიერი ასაკის ვიზიტორებისთვის. კოლეჯის სტუდენტებმა (კლუბ „ეპისტამას“ წევრებმა) სხვადასხვა სახალისო აქტივობა შესთავაზეს სტუმრებს.

2023 წლის 8 დეკემბერს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული გლობალური საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს უფროსის მოადგილემ - ცირა გამცემლიძემ, კონსულტანტმა - თამარ სანიკიძემ და სპეციალისტმა - თინათინ უჩანეიშვილმა გამართეს შეხვედრა პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

ადვოკატებმა შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს არსებული აქტუალური საკითხის სამართლებრივი ასპექტები, განუმარტეს რა არის ძალადობა და მიაწოდეს ინფორმაცია სანქციების შესახებ, ასევე გააცნეს მსხვერპლთა უფლებები და მექანიზმები.

შეხვედრა ინტერაქტიულად მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ კოლეჯ "მერმისსა" და იურიდიული დახმარების სამსახურის შორის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებში ჩატარდება არაერთი შეხვედრა იურისტებთან კოლეჯის სტუდენტებისათვის საჭირო და აქტუალურ თემებთან დაკავშირებით.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება

სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ დირექცია მუდმივად ზრუნავს კოლეჯის სასწავლო სახელოსნოების განახლებაზე. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კოლეჯი საჭიროების მიხედვით ახდენდა მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესებას.

კოლეჯის მიერ, კოლეჯის შენობების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, თანამშრომელთა და მსმენელთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა შესაბამისად შეიცვალა და დამონტაჟდა ახალი სახანძრო უსაფრთხოების სისტემა და არასამისამართო სახანძრო სიგნალიზციის სიტემა შეიცვალა სამისამართო სახანძრო სიგნალიზაციის სისტემით, რაშიდაც გახარჯული იქნა 18870,00 ლარი. შეძენილი და შენობის ოთხივე სართულზე დამონტაჟებული იქნა სახანძრო კარადები, რაშიდაც გადახდილი იქნა 1880,00 ლარი, რომელთა წყლით მომარაგების წესრიგში მოყვანაზე გახარჯული იქნა 1800,00 ლარი. დაზიანებული ავარიული სანათბი შეიცვალა ახალი ავარიული სანათბით, რაშიდაც გადახდილი იქნა 350,00 ლარი.

შენობის მე-4 სართულიდან სხვენში ასასვლელი ხის ლუკები, სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნებიდან გამომდინარე შეიცვალა მეტალის ახალი ლუკებით, რომლებიც შეღებილი იქნა თერმული (ცეცხლმედეგი) საღებავით, რაშიდაც გახარჯული იქნა 888,00 ლარი.

სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის მიზნით ორ სასწავლო აუდიტორიაში მოძველებული კომპიუტერები ჩანაცვლებული იქნა ახალი კომპიუტერებით, რისთვისაც კოლეჯის მიერ შეძენილი იქნა 40 ცალი ახალი კომპიუტერი ღირებულებით 67520,00 ლარი. პირველ სართულზე განთავსებულ კულინარიის ხელოვნების სახელოსნოში დამატებით დამონტაჟდა გამწოვი ვინტილაცია (გამწოვი ქოლგა) რაზედაც გაიხარჯა 7570,00 ლარი, იმავე სახელოსნოში შეიცვალა ელექტრო ქურების მოძველებული და დაზიანებული ელექტრო კომფორები ღირებულებით 2240,00 ლარი. მეორე სართულზე განთავსებულ კულინარიის ხელოვნების სახელოსნოში ელექტრო ქურებს შეეცვალა დაზიანებული ტენები, რაზედაც გახარჯული იქნა 1880,00 ლარი.

საანგარიშო პერიოდში კოლეჯის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსებისთვის შეძენილი იქნა 2229,00 ლარის წიგნები. პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურებისთვის“ შეძენილი იქნა 1704,00 ლარის ჭურჭელი, პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოებისთვის“ შეძენილი იქნა 6 ცალი მანეკენი ღირებულებით 1532,00 ლარი. პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამა „კონდიტერიისთვის“ შეძენილი იქნა 838,00 ლარის სამუშაო იარაღები.

სტუდენტთა დასასვენებელი სივრცის მოწყობის მიზნით, ეზოს სკვერისთვის შეძენილი და გაშლილი იქნა 40 მ/კუბი ნიადაგი, რაშიდაც გადახდილი იქნა 2800,00 ლარი. დამატებით სკვერის მოსაწყობად შეძენილი იქნა მრგვალი მაგიდა ორი სკამით და ურნით და 7 (შვიდი) ცალი ბაღის სკამი რაშიდაც გადახდილია 3300,00 ლარი.

ეზოს სკვერში პედაგოგებისა და სტუდენტების მონაწილეობით გაკეთდა ხის ფანჩატური, რომლისთვისაც შეძენილი იქნა 1430,00 ლარის მასალები.

დამატებით შეძენილი იქნა ახალი ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერი ღირებულებით 1600,00.

კერძო სექტორთან თანამშრომლობა

კოლეჯი, თავისი მისიის განხორციელების მიზნით, მუდმივად თანამშრომლობს არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს კერძო სექტორთან, რაც გულისხმობს შეხვედრების ორგანიზებას, გამოცდილების გაზიარებას, მათ ჩართულობას კოლეჯის სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების, პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაში მონაწილეობას, სტუდენტების საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფას, სტაჟირებასა და შემდგომ დასაქმებას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა რგოლთან, მუნიციპალურ და საქალაქო სამსახურებთან, საჯარო სკოლების ადმინისტრაციებთან. შედეგად შესაძლებელი გახდა მეტი პოტენციური სტუდენტის ინფორმირება და მათი დაინტერესება კოლეჯის პროგრამებით.

გაფორმდა მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან: შპს „აპიკალ კონსულტინგ ჯეორჯია“, შპს „კოფთა“, შპს „ჯინო პარკი“, შპს „სამი ჯგუფი“, შპს „სიტი ემ“, შპს „ჰოტელს ენდ პრეფერენს ნუალინგ თბილისი“, შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“, შპს „ფიქრის გორა“(სასტუმრო სეფია), შპს „ბაუფლექსი“, შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯია“, შპს „უნიფორმები“, შპს „ნეოტექი“, შპს „პურიგულიანი“, შპს „ლთბ“, შპს „ჯეო გაზი“, ი/მ ნანა

მიქაძე, ი/მ დავით გრიგორიანი, შპს „კონდი“, შპს „ჯი ემ თი მთაწმინდა“, შპს „კოსმო“, შპს „პრემიერა ტმ“, შპს „ელ თი“ (ლექსუს ცენტრი), შპს „ჰოტელ აქსის თაუერსი“ (პულმანი), შპს „ორქიდეა“ და სხვა

საანგარიშო პერიოდში დასაქმების თაობაზე ვაკანსიები შემოვიდა 254 კომპანიიდან.

კოლეჯის კურსდამთავრებულები დასაქმდნენ:

- შპს ,,გალფი“ – 3 კურსდამთავრებული ელექტრიკოსის პოზიციაზე;
- ასოციაცია ,,ქართული რეწვა“ – 3 კურსდამთავრებული დიზაინერებად;
- სამხატვრო გალერეა ,,ორნამენტი“ – 2 კურსდამთავრებული მომინანქრების პოზიციაზე;
- სასტურმო ,,ბილთმორი“ – 5 კურსდამთავრებული ჰაუსქიფინგის პოზიციაზე;
- შპს ,,ლეკოფსი“ – 1 კურსდამთავრებული ფეხსაცმლის დიზაინერის პოზიციაზე;
- სს ,,საქართველოს ბანკი“ – 1 კურსდამთავრებული მომხმარებელთა მხრდაჭერის უფროსი სპეციალისტის პოზიციაზე,
- შპს ,,ჯეომეტექსი“ - 10 კურსდამთავრებული მკერავის პოზიციაზე;
- სამკერვალო საწარმო ,,თამუნა ინგოროყვა“ - 1 კურსდამთავრებული მენეჯერის პოზიციაზე;
- სხვადასხვა სილამაზის სალონებში - 16 კურსდამთავრებული სტილისტის პოზიციაზე;
- სასტუმროში "ქორთიარდ მარიოტი" – 2 კურსდამთავრებული კონდიტერის პოზიციაზე,
- სასტუმრო „შერატონი“ – 2 კურსდამთავრებული მზარეულისა და კონდიტერის პოზიციაზე;
- სამშენებლო კომპანია ,,ლეველი“ – 1 კურსდამთავრებული ოფისის-მენეჯერის პოზიციაზე;
- გარემოს დაცვის სამინისტრო - 1 კურსდამთავრებული ოფისის-მენეჯერის პოზიციაზე;
- სადისტრუბაციო კომპანიაში - 1 კურსდამთავრებული ოფისის-მენეჯერის პოზიციაზე;
- შპს ,,ჯორჯია“ - 1 კურსდამთავრებული ოფისის-მენეჯერის პოზიციაზე;
- სავაჭრო ცენტრი ,,ჯიბე“ - 1 კურსდამთავრებული ოფისის-მენეჯერის პოზიციაზე;
- სხვადასხვა კვების ობიექტებზე - 6 კურსდამთავრებული მზარეულის პოზოციაზე;
- რესტორანი ,,ლისი“ - 1 კურსდამთავრებული მზარეულის პოზიციაზე;
- კაფე აპეტაისი - 1 კურსდამთავრებული მზარეულის პოზიციაზე;
- რესტორანი ,,მექსიკა“ - 1 კურსდამთავრებული მზარეულის პოზიციაზე;
- სასტუმრო ჰოლიდეი - 1 კურსდამთავრებული მზარეულის პოზიციაზე;
- რესტორანი ,,საირმე“ - 1 კურსდამთავრებული შეფის მოადგილის პოზიციაზე;
- თბილისის N100 საჯარო სკოლა - 1 კურსდამთავრებული საქმისწარმოების პოზიციაზე;
- შპს ,,ე.დ.ე“ - 1 კურსდამთავრებული სერვის მენეჯერის პოზიციაზე;
- შპს ,,გორგია“ - 1 კურსდამთავრებული საქმისწარმოების პოზიციაზე;

კოლეჯი ,,მერმისი“ ხშირად არის საკუთარი კურსდამთავრებულების დამსაქმებელი.

2023 წელს კოლეჯის სამი კურსდამთავრებული დასაქმდა კოლეჯში: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საოფისე საქმე“ – 2 კურსდამთავრებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტის პოზიციაზე და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამკერვალო წარმოება“ – 1 კურსდამთავრებული პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე.

სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების მიზნით, პროფესიულ სტუდენტებთან გაიმართა შეხვედრები კომპანიებთან, რომლებმაც სტუდენტებს გააცნეს კომპანიებში დასაქმების შესაძლებლობები და მიმდინარე ვაკანსიები.

მიმდინარე წლის 12 ივნისს სსიპ კოლეჯში „მერმისი“ სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრა გამართეს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან.

თბილისის ბიუროს წარმომადგენლებმა სტუდენტებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს სააგენტოს სერვისებისა და პროგრამების შესახებ.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ დარეგისტრირებულიყვნენ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (WORKNET).

ხარისხის უზრუნველყოფა

კოლეჯი აქტიურად მუშაობს ხარისხის განვითარების კუთხით. სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით განხორციელებულ იქნა შემდეგი აქტივობები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით:

- შეიცვალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმა;

- ➢ შეიცვალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ სასწავლო გეგემა;
- ➢ „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილ იქნა ცვლილება - მოდულური მიდგომით პროგრამას დაემატა არჩევითი სტატუსის მქონე „საწარმოო პრაქტიკის“ მოდული და გაიზარდა პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა 40-ით, 80-დან 120-მდე.
- ✓ შემუშავდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ №03-2021 და №04-2021 ჯგუფებისათვის;
- ✓ პროფესიული მომზადების პროგრამებში შეტანილ იქნა ცვლილება - მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში განისაზღვრა 5-ით;
- ✓ პროფესიულ მასწავლებელთა და სტუდენტთა კვალიფიკაციისა და სწავლების ხარისხის ამაღლების, აგრეთვე, ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით, საერთაშორისო თანამშრომლობის გერმანიის ეკონომიკის ფონდის (SES) პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში კოლეჯში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ თმის მომსახურებისა და სასტუმრო მომსახურების მიმართულების SES ექსპერტები.

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით:

- ➢ ჩატარდა პროფესიული სტუდენტების შუალედური გამოკითხვა 2022 წლის მიღების 18 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 26 ჯგუფში;
- ➢ შემუშავდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სტატუსაღდგენილი პროფესიული სტდენტებისათვის: თ. ნაჭყებია - „სამკერვალო წარმოება, თ. ლომიტაშვილი - „საოფისე საქმე“.
- ➢ დამტკიცდა 10 მოკლევადიანი პროგრამა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მხარდაჭერით დაფინანსებული პროექტის ,,ისწავლე და დასაქმდი“ ფარგლებში;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ №16-2022 ჯგუფის პროფესიულ სტუდენტებს: თ. ასლამაზიშვილს და ს. ქარაიას და „კულინარიის ხელოვნების“ №26-2022 ჯგუფის პროფესიულ სტუდენტს დ. ჯოყილაძეს უღიარდათ ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული განათლება;
- ✓ 2023 წლის მიღების პროგრამებზე 8 სტუდენტს უღიარდა ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები.
- ➢ ჩატარდა შიდა ვერიფიკაციის სამუშაოები;
- ➢ შევსებულ იქნა საბიბლიოთეკო ფონდის სასწავლო რესურსი (კონდიტერია, ბუღალტრული აღრიცხვა);
- ➢ 5 სტატუსშეჩერებული სტუდენტისათვის აღდგენილ იქნა პროფესიული სტუდენტის სტატუსი („სამკერვალო წარმოება“ - თ. ნაჭყებია, „საოფისე საქმე“- თ.

ლომიტაშვილი, „ხის მხატვრული დამუშავება“ - გ. წუწუნავა, „კონდიტერია“ - ა. ბობოხიძე, „კულინარიის ხელოვნება“ - რ. ფხაკაძე);

- საანგარიშო პერიოდში სწავლა დაასრულა ინტეგრირებული პროფესიული საგანამანათლებლო საპილოტე პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ ჯგ. №13-2020 და ,,სასტუმრო მომსახურება“ N14-2020 პროფესიულმა სტუდენტებმა. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მტკიცებულებების ვერიფიკაცია განახორციელა დადასტურების კომისიამ.

პროფესიული განათლების პოპულარიზაცია

სსიპ კოლეჯმა "მერმისი" მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ქ. გორში გამართულ ღონისძიებაში, სადაც წარმოდგენილი იყოს კოლეჯის სტუდენტების მიერ დამზადებული ნაკეთობები. ღონისძიების დროს განხორციელდა კულინარიული მასტერკლასები

მიმდინარე წლის 13 ივნისს, სსიპ - კოლეჯში "მერმისი" ყაზახეთის რესპუბლიკის ეკოლოგიური, საინჟინრო და პედაგოგიური მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობით სტუმრად იმყოფებოდნენ ყაზახეთის წამყვანი კოლეჯების დირექტორები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ყაზახეთის დელეგაცია გაცნობოდა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებს კოლეჯის „მერმისი“ მაგალითზე.

ვიზიტის ფარგლებში კოლეჯის დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა და ყაზახეთის ხუთი კოლეჯის ხელმძღვანელმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. აღნიშნული კოლეჯებია: ტრანსპორტისა და კომუნიკაციების უმაღლესი კოლეჯი, სერვისისა და ტურიზმის კოლეჯი, თანამედროვე ჰუმანიტარულ-ტექნიკური

კოლეჯი, მერკენსკის კოლეჯი, აკმოლინსკის რაიონის ქ. კოკშეტაუს უმაღლესი ტექნიკური კოლეჯი.

ვიზიტის დროს სტუმრები გაეცნენ კოლეჯში განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო და მომზადება/გადამზადების პროგრამებს, დაისახა შემდგომი თანამშრომლობის გზები.

სსიპ კოლეჯის "მერმისი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს "საქართველოს ეს-ო-ეს ბავშთა სოფლის" წარმომადგენლებმა პროექტის "ახალგაზრდის თვითგამორკვევის, კეთილდღეობისა და დასაქმების ხელშეწყობის" ფარგლებში. პროექტის მიზანია საქართველოში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა წარმატებით გამოიყენოს ახლად შეძენილი ცხოვრებისეული და პროფესიული უნარ-ჩვევები შრომის ბაზარზე ინტეგრაციისათვის.

სსიპ კოლეჯში „მერმისი“ პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით სტუმრად იმყოფებოდნენ გერმანიის ქ. ჰომბურგის გიმნაზიის წარმომადგენლები სსიპ ქ. თბილისის N21 საჯარო სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან ერთად. ახალგაზრდებს მიეცათ უნიკალური შესაძლებლობა გაცნობოდნენ იმ ხელობებს, რომლითაც თვითმყოფადია ქართული კულტურა: ხის მხატვრული დამუშავება, მხატვრული ქსოვა, მომინანქრება, ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობების წარმოება და სხვა.